

რედაქცია: სოლოლოკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типограф. ВЪ редакцію газ. „Дრობრა“.

გაზეთის ფასი: თვეში — 1 რუბლი — 8 მან., ნახევარ წლისა — 4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის — 3 მან.

ხრველ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ჩვეულებრივის ცოცროთი — 1 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

# დროება

ცალკე ნომერი ღირს რუბლი

პირველი ენაენისთვიდან ამ მდგომარეა წლის დასაწყისამდე

## „დროება“

ღირს ს ა მ მანეთად

პირველი ღვინობისთვიდან წლის დასაწყისამდე — ო რ მანეთად.

ხელის-მოწერა შეიძლება თ თვის წინ: რედაქციაში, სერგიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

შალაქს გარე შეპირთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типограф. ВЪ редакцію газеты „Дროбра“.

## საქართველო

მასწავლებელთა კრებაზედ

(პასუხი უფ. ი. ბ — ს)

(დასასრული)

მივირს, რატომ ხმასაც არ იღებს უფ. ი. ბ. სამშობლო ენის პროგრამის შედგენაზე! ნუთუ ეს იმისთანა მცირე საგანია, რომ მასზე ლაპარაკი არა ღირს? იქნება ამ საქმეზე მაინც, ცოტა არ იყოს თავი გამოიჩინა ჩვენმა კრებამ, და იმიტომ არ იხსენიებს?

რომ უფრო კარგა დავანახო მკითხველს სახალხო მასწავლებელთ კრების ნაყოფიერი მოქმედება, მე საჭიროდ ვრაც ყველა შემოთქმულს გარდა კიდევ რაოდენიმე სიტყვა ესთქვა სამშობლო ენის პროგრამის შესახებაც.

მგონია, არასოდეს ვერც ვერცლად და განსაკუთრებით ნაყოფის მოტანით არ განხილულა ჩვენში სამშობლო ენის შესწავლა, როგორც ეს მოხდა ჩვენ მასწავლებელთ კრებაზე. მხოლოდ ახლა აღმოჩნდა, რომ „ღელა-მნის“ შემდეგ ჩვენ ქართველებს სრულიად არ გვაქვს საკითხავი წიგნი, წიგნი, რომლის შემწეობითაც უნდა შევისწავლიდეთ სამშობლო ენას.

შველამ კარგათ ვიცით სამშობლო ენის მნიშვნელობა და მისი შესწავლის დასასრული მისანი. იგი მდგომარეობს შემდეგში: კურს-შესრულებულ სახალხო მკვლელის მოწაფეს კარგათ უნდა ეს-

მოღეს თავისი ქვეყნის ლიტერატურული ენა, ე. ი. ის ენა, რომელზედაც ლაპარაკობს და სწერს განათლებული ნაწილი ხალხისა. ამ მიზნადი მისაღწეველათ უკოლებში ერთი სახსართავანი არის კლასში საკითხავი წიგნი (სხვა სახსარებზე — ცოცხალ ლაპარაკზე და სხვაზე აქ არას ვაძებობ).

მაგრამ საქმე იმაში ვახლავს: საიღამ ავიღოთ ამ გვარი საკითხავი წიგნი? მკითხველი ვაძვირდება, როცა წაკითხავს ამ სტრიქონებს და უნებლიეთ იტყვის: უ. იაკობ ბოგებაშვილის „ბუნების ძარი“ რაღა უყავითო, როგორ დავაიწყებდათ? საქმეც იმაში ვახლავს, ჩემო ბატონებო, რომ უფ. იაკობ ბოგებაშვილის „ბუნების ძარი“ სრულიად არ ვარგა კლასში სახმარებლათ ჩვენი ენის შესასწავლებლად, როგორც თავისი ერთ-გვარი შინაარსით, ასე თვისი ფორმით (სტატიები გარდამეტებით გრძელდება), აგრეთვე თვისი განწყობილობით და განსაკუთრებით იმიტომ, რომ თავიღამ მოყოლებული ბოლომდე ერთგვარი უბრალო და უფერო ენით წარის დაწერილი. ამაჲ გარდა, თვითო სტატია შეიცავს ასობით ფაქტებს, რომლის დახსოვებაც, თუნდა ასჯერ წაკითხო, შეუძლებელი საქმეა.

ეს არის მისეზი, თუ რათა ჩვენი ყმაწვილები „ბუნების ძარის“ სტატიებს ასრეთი ინტერესით კითხულობენ; ვერცერთი მათგანი კი ვერ შეიძლებს მაგრამ რომ რამდენჯერმე წაკითხული სტატიის შინაარსი ხეირიანათ გარდმოგცეს.

შველა ამ ნაკლებეანების გამო, კრებამ ცხადათ აღვიარო (განსაკუთრებით ი. როსტომაშვილმა) „ბუნების ძარის“ უფარვისობა, როგორც საკლასო საკითხავი წიგნისა. ამასთან თვით კრებამ აღმოაჩინა საშუალება, მოუპოვოს ჩვენს უკოლას უფრო უკეთესი საკითხავი წიგნი.

მკითხველს ეხსომება „ივერიაში“ მოყვანილი ცნობა, რომ რაფ. პრისრაგმა წაუკითხა თვისი ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მასწავლებლებსაო. მართლა და უნდა გენახათ და გაგეგონათ რა ენით არიან დაწერილი ეს საკითხავი სტატიები! მხო, ბალი, სახლი, მინდორი, ტყე, ცა, მიწა, ცხოველი და სხვ. აღწერილი არიან ასე ცხადათ, ასეთი მშვენიერი ენით, ასეთი უცხო სიტყვებით, რომ მაშინვე იგრძნოთ, თუ რა-

გვარი საკითხავი წიგნი გვეჭირება ჩვენ. მართხელ წამკითხავი ამ სტატიებისა, თავის დღეში აღარ მოინდომებს „ბუნების ძარში“ ჩახედვას.

აი ამ სტატიების ავტორთან მიმართათა კრებამ, რათა მან შეგვიღებინოს „ღელა-მნის“ შემდეგ საკითხავი წიგნი. ამისთვის ცალკე კომისიაც იყო შედგენილი მასწავლებლებისაგან, რომელმაც მრისთავის სახლში კარგათ განიხილა — თუ როგორი, რა შინაარსისა რა ფორმისა და სხვა წიგნი უნდა იყოს „ღელა-მნის“ შემდეგ საკითხავი წიგნი.

ეს ამბავი იქნება თვით „ბუნების ძარის“ შემდგენელს არ ეჭაშნიკოს, მაგრამ ჩვენ ამაჲ რას დავდევთ — ჩვენი საქმე და ფქვი საყვარელი მამული და მისი ინტერესი! და განა დრო არ არის ვიყენეთ უანგარონი, განვაგლოთ რაღაცა წერიმალი თავის-მოყვარეობა და სხვა ანგარიშები და ერთ-გულათ ვიმუშავოთ საზოგადო ინტერესის სასარგებლოთ?

შველა შემო-თქმულს გარდა, იცით რა განსაცდელისაგან დაიღსნა კრებამ ჩვენი ერის საქმე და მისი წარმატება? — საქმე იმაში ვახლდათ, რომ „ღელა-მნის“ დასრულების შემდეგ, ვერც მოვლდებოდა „მიროვედნიე“ უნდოდათ შევერთებინათ „ბუნების-ძარის“ კითხხვასთან, ე. ი. „ბუნების ძარის“ შემწეობით უნდა ესწავლებინათ „მიროვედნიეც“, რადგანაც „ბუნების-ძარში“ ბოტანიკაც, ზოოლოგიაც, ასტრონომიაც, გეოგრაფიაც (ისტორიის გარდა) არის. (თუმცა ეს ყოველად შეუძლებელი საქმე იყო, რადგანაც „მიროვედნიე“ წიგნით კი არ შეისწავლება, არამედ თვალითვალ დაკვირვებით და სხვ.) ახლა საქმე რაში ვახლავთ. წარმოიდგენთ ამ ჰაზრის გამარჯვების შედეგი! მაშინ ხომ სულ წახდა ჩვენი ენა, ხომ სულ დაეცა იგი, რადგანაც მის შესწავლას საკითხავი წიგნით, მიტოვებას აპირობდნენ; და „ბუნების ძარით“ ენას კი არა „მიროვედნიის“ შესწავლას აპირობდნენ.

და მეტი გზაც აღარ იყო: უ. ი. ბოგებაშვილს იმისთანა წიგნი უჩუქებია ჩვენი უკოლებისათვის, რომლის მიზანი სულ სხვა არის, მხოლოდ არა მშობლიური ენის შესწავლა. მაგრამ, ღვთის მადლით, ჩვენი კრება კარგა წინ-დასხედავი გამოდგა და მოაშორა კიდევ ჩვენ ენას ეს ხიფათი.



მევეყოფა ამდენი ლაპარაკი. ნუ დავი-  
ვიწყებთ, რომ ეს კრება მასწავლებელთა  
იყო პირველი ცდა, პირველი ნაბი-  
ჯი ჩვენი სახალხო სკოლების წინ-წად-  
გმისა, და ამიტომ ცოტათი მოწყალე  
თვალთ და აუჩქარებელათ მოჰკიდეთ  
ხოლმე კალამს ხელი!

მინამ დამსწრე

2 ოქტომბერს 1878 წ.

დღიური

\* \* ჩვენ შევიტყუეთ, რომ თ. ღვით  
მრისთავს გადაუთარგმნია ქართულად  
მწიგნობანის ოპერეტკა „მ ვ ე ნ ი ე რ ი  
მ ლ ე ნ ე“. ამბობენ, რომ სამღერალი  
ლექსები ოპერეტკისა მშენიერად გამო-  
დის ქართულად. ისმის აგრეთვე, რომ  
ამ ოპერის წარმოდგენას მთარგმნელი  
ამ ზამთარში ცდილობს.

მს იქნება პირველი ოპერა ქართულს  
ენაზედ და სასურველია, რომ ამ პირ-  
ველმა ცდამ კარგათ ჩაიაროს.

\* \* მასულ ორშაბათს შალაქის რჩე-  
ვის კრებაზედ პირველად წაიკითხეს უფ.  
მთილისის ლუბერნატორის ქალაქი,  
რომელშიაც ის აცნობებდა რჩევას, რომ,  
რადგანაც კანონი გარკვევით და ცხადათ  
თხოვლობს, რომ საყასპოები ქალაქს  
გარეთ უნდა იყვეს გამართულიო, ამის  
გამო არ შემოძლია დავაკმაყოფილო  
თქვენი თხოვნა და ნება მოგცეთ შიგ  
ქალაქში საყასპოების განხნისაო.

ხმოვანთ იზმიროვისა და მლიმირზოვის  
წინადადებით რჩევამ გარდაწყვიტა, რომ  
ამ საგნის შესახებ თვითონ ლ. მ. ძაგუ-  
სიის ნამესტნიკს წარუდგინონ თხოვნა.

შემდეგ რჩევამ განიხილა შალაქის  
ზამგეობისაგან წარდგენილი ანგარიში  
იმის თაობაზედ—თუ რამდენი ფული  
დახარჯვა შალაქმა ბრძოლის ველიდამ  
დაბრუნებულ ჯარების გამასპინძლებისა-  
თვის. აღმოჩნდა, რომ შალაქს ამ საგან-  
ში დაუხარჯავს თავის ხაზინიდან სულ  
4,000 მან. რჩევამ კანონიერად აღიარა  
და დაამტკიცა ეს ხარჯი.

აჰავე სხდომაზედ რჩევამ გადაწყვიტა,  
რომ შომავალს მარტში გამოაცხადოს  
ვაჭრობა მიხაილოვის (მუშტაიდის) შოს-  
სეს საფუძვლიანად გადაკეთებაზედ, რომ-  
ლისთვის, გამგეობის ანგარიშით, ქალაქს  
ცხრა-ათას მანეთზე მეტის დახარჯვა  
დასჭირდება.

ამას გარდა სხვა სალაპარაკო საგნე-  
ბიც იყო ამ სხდომისათვის დანიშნული;  
მაგრამ ჩვენ პატივცემულ ხმოვანთა მო-  
მეტებელი ნაწილი შინ გაიპარა და ამის  
გამო კრება ძალა-უნებურად დაიშალა.

\* \* ჩვენ შევიტყუეთ, რომ ამ დღეებში  
პოლიციას დაუჭირავს ერთი ამხანაგთა-

განი ჩვენი გამოჩენილი ავაზაკის ტატო  
წულუკიძისა. აი როგორ გვიამბეს ჩვენ  
ეს გარემოება:

მიღაც მედუქნის ჯავრი ჰქონია ტა-  
ტოს. შემჯდარა ცხენზე, ერთი ამხანაგი  
თან წამოუყვანი, მივარდნია იმ მედუქ-  
ნის და მთელი იმის ღუქანი სულ-ერ-  
თიანად აუნგრ-დაუნგრეცია, მიუღწენია.

ამ დროს პოლიციისათვის უცნობე-  
ბიათ, რომელიც მოვარდნილა და გარს  
შემოხვეცია იმ ღუქანს. ტატო გამო-  
ვარდნილა ხმალ-ამოღებულნი და გაუპია  
გზა. მაგრამ იმის ამხანაგის ცხენს ფაე-  
ტონი დასტაკებია, წაუტყვევია და ამ  
დროს უტაცნიათ იმისთვის ხელი და  
დაუჭერიათ.

\* \* ჩვენ შეცდომით ვითქვამს, რომ  
მცხეთაში არაერთი უბედური შემთხ-  
ვევა არ მომხდარა-მეთქი; ახლა აღმოჩნ-  
და, რომ იმ დღეს ღამის მეათე საათზე ერთი  
ქართველი დესიატნიკი გაუტყლეთა მა-  
ტარებელს. ზოგი ამბობს, რომ მთერა-  
ლი იყოვო, დაეცა და გორგოლებს ქვეშ  
ჩავარდაო; ზოგი კი ამტკიცებს, ვითომც  
ვიღასაც ეკრას უეცრად, უსაბედათ ხე-  
ლი. მის აღვილას გადაველო მატარებ-  
ლის გორგოლებს საწყლისათვის: ერთი  
ფეხებზე კოჭებთან და მეორეც მუცელ-  
ზე. მისი საათის შემდეგ დალია სული.

\* \* შეირილიდამ გვწერენ, რომ ამ  
დღეებში ერთხელ კიდევ გაუჭურდავთ  
იქაური მომრიგებელი სასამართლო.  
ჩვენი კორრესპონდენტის სიტყვით, სულ  
600 მანეთამდინ არის წადებულიო, და  
ამას გარდა რალაც საქმეებიც და ღო-  
კუმენტებიც წაეღოთ, მაგრამ იქვე სასა-  
მართლოს სადგომის მახლობლად დაე-  
ტოვებინათ. ჯერ დამნაშაის კვალის-  
თვისაც კი ვერ მიუგნიათ.

\* \* სამეგრელოდამ წელს ძალიან  
ცუდი მოსავლის ამბები მოგვდის. ამბო-  
ბენ, რომ ჯერ ქარმა გააფუჭა ყანებიო  
და მერე ამას გაუწყნარებელი წვიმები  
მოჰყვა და იმან სულ დააღობა, ბოლო  
მოუღო ნამუშევარსაო. ამის გამო ახ-  
ლაც გაძვირებულა იქითკენ ყოველგვარი  
ნამუშევარი, (ფუთი სიმინდი, სხვათა  
შორის, ამ ქაშად სამ აბაზ—სამ აბაზ  
უზალთუნათ ისყიდებო) და ამ ზამთარ-  
ში უარესს სიციხესა და ზოგან შიმ-  
შილსაც მოელოან.

„დროების“ კორრესპონდენცია

ზორი, 20 სექტემბერს. (დასასრული). ბო-  
რელები შეიძლება გავყოთ ოთხ ნაწი-  
ლად:

უდარდელნი, რომელთაც უფრო-  
ნებით, გორულები გამოიძიებენ  
მოუგრობიათ საკნატუნებელი, შეულა-  
გებიათ თავიანთ ბუნაგებში და ახლა  
განცხრომით შეექცევიან გამრიგლად! ამით  
თქვენ ხშირად ნახავთ ძრილოვის ბაყ-  
ყივით გაბერილებს ღუქნების წინ, ან  
ხილის ყურში დაგორებულან და ერთის  
ქშენით თითქო უნდათ გამველე-გამომ-  
ვლეელი შთანთქანო, გამოიჭყიტებიან  
„მამენიკურის თვალებით“. ამათი დღი-  
ური კითხვა: ვინ უფრო სქელია, ვის  
რამდენი ფუთი ქონი აცხია, ან რითი  
გასუქებულა, ან როგორ ჩასორსლებუ-  
ლა?...  
მ ა ტ ყ უ ა რ ე ბ ი, რომელთაც აუ-  
ფარებიათ „უბიწო და შეუგინებელი“  
ფარდა, ფარდა ანდამანტისა, ჩაუცვამთ  
ცხვრის ტყავი, აუფარებიათ მასკა, შარ-  
და იზიდავს ყველას; შიგ მყოფნი იხდიან  
ცხვრის ტყავს და იცმენ ძეგლისას! ში  
მისი ბრალი, ვინც ამათ ხელში ჩავარ-  
დება! სამართებლები, მაკრატლები, ცე-  
ლები, ეშვები, ღინგები, მახათები და  
მანვილები აქედამ-იქიდან გამოიჭყირე-  
ბიან! პარსეა, კრეტა, თიბეა, გლეჯა, ჩხლე-  
ტა, კვეთა და ჩეხა ყოველ მხრიდამ!

შ რ ო მ ი ს შ ე ი ლ ნ ი, ყოველივე  
გაჭირვების ყურმოჭრილი ყმანი, რომე-  
ლთაც ვერაფრით ველარ დაუხწევიათ  
თავი გაჭირვებისთვის, „შრომობენ და  
შინათ ცისმარე დღესა.“  
ბ ო ბ ო ლ ა ე ბ ი, რომლებზედაც  
ვერას იტყვის ე ცოდვილი პირი; ვერ  
გაინძრევა ეს მშვიდობიანი კალამი მის-  
თვის, რომ ბობოლაებზე მივარდა საქმე!  
ამათ ერთი ის კარგი ხასიათი აქვთ,  
რომ, თუ რაიმეს მოჰჭკრეს ყური და არ  
მოეწონათ, შეხტებიან და „შებროწიალ-  
დებიან“ და მე გასაჯარებელათ არ ესწერ  
ამ მშვიდობიან წერილს!

პირველებთან „ხელს არ მოგცემსთ“  
გავლა, თუ თქვენც უდარდელნი არა  
ხართ; მეორეებთან სულ არა, მეოთხეებს  
თქვენთვის არ მოუცლია, ისე თავს რო-  
გორ დაიმცირებენ, რომ თქვენ გაგიყარ-  
რონ თავი.  
ღარჩა მესამეები დი ამათთან შეგიძ-  
ლიანთ იქონიოთ მსგელობა, უკეთუ  
ძალ-გნისთ გაუზიაროთ მწუხარება და  
შესჩვილოთ თქვენი დარდები!

რაკი ბობოლებთან მივიდა საქმე,  
სჯობს სულ ხმა გავიკმინდო, თორე...  
„ღროებას“ ასეთი ზედ-მოქმედება აქვს  
აქ, რომ, გაიგებენ თუ არა მევან კაცზე  
ლანძღვა ჩაუწყობიათ, შეიქნება ერთ სირ-  
ბილი:—შენი ჭირივე, „ღროება“ მათ-  
ხოვე! ის ნომერი, რომელშიაც №-ზე  
სწერია!

სხვა რალა მოგწეროთ, არ ვიცი! შეე-  
ლაფერი ძვირია, ისევე „ცეცხლი ეღება“. მირ-  
ვანქა ხორცი ორი შაური, პური  
ამდენივე ერთი შაური, ხილი ამდენი  
ხანი რომ „ოხრათ“ იყო, ახლა კაცს  
ვერ უყიდნია. იაფია მხოლოდ ქორი და  
ქორები! ჭორი მუქთად და ქორები  
გროშათ! შამოდით ქუჩაში და გაიგო-  
ნებთ....





ამ კორუმში ერთი მართალიც რომ სტყვეს! მუხის პირას მოგროვილიყვენ დედა-კაცები და შკოლის შევირდები.

— მა! ზაგონილა! შიტილები როგორ არ გვინახავს, მაგრამ ამ გვარი! ძალო, ჩემი მღვმური შევირდი აქ კოჭაობდა. ამ დროს გამოიარა ერთმა პრივატოციტელი კლასის უნიტელმა ჯაფარიძემ და თურმე კოჭა გაგორდა და ფეხზედ მოხვდა. ეს შენაო, ბატონო, წაველო ყურში ხელი და სცემა შავირდს. ზამოუყარდი და ასე გაგინადე, რომ შენი მოწონებულო!

იმ დღეს კიდევ ერთ შავირდს დაედო თავის ამხანაგი კლასში და იმდენი ეცემნა, რომ სისხლი ნაკადულივით მოჩუხჩუხებდა ცხვირიდან. შიტილები იქ იყვნენ და ხმაც არ გაეცათ. ზალახული ყმაწვილის მამა, თუ დედა მისულო შკოლაში და უთქვამს, თუ რა ამბავია, რომ შვილს მიკლავენ და ხმას არა სცემთ, რილასი უნიტლები ხართო? ზამოუყარდა თურმე ჯაფარიძე და რა ვალრიალეხსთ, ეს შკოლაა, ხო ხედავთო, შეუტია!

— როგორ თუ რა მალრიალეხს, შვილი კინაღამ მოუკლავთო! შკოლა რომ იყო აქ, ვიცოდდი, და მისთვის მოვიყვანე შვილი და ვხლა კი თქვენს ხელში სამუშტი-კრივო მოედანი გამხდარაო! ბოლოს მოხულა ქალაქიდან ზედამხედველი, ზალმასანოვი და გამოუტოვებეს ეს მოსწავლე!

ძალიან ვსწუხვარ, რომ უ. ზალმასანოვს თან-და-თან ეცლება რიგიანი მასწავლებლები და ამათ ნაცვლად შემოდინან ისეთები, რომლებმაც სპეციალურად შეუსწავლიათ მხოლოდ კონტაობა, პრანჭიაობა და წკიპარტით ტანთ-საცმელის წმენდა!

სირბილაძე — ბედკრულაძე

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

მართს ინგლისურს გაზეთში დაბეჭდილია არზრუმშიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი, სხვათა შორის, იწერება:

„მოგესხენებათ, რომ არზრუმის ელიაეტიდამ დიდ-ძალი ხალხი (სომხობა) გადასახლდა რუსეთისაკენ და შემდეგშიაც ბევრი აპირებენ გადასვლას, რადგან თანატრკოსი-მაჰმადიანების ეშინიანთ,

„ძონსტანტინოპოლელი სომხის პატრიარხი ყოველ დონსიძიებას ხმარობს, რომ ას ხალხი გააჩეროს, რომ ამათ მოუშალოს როგორმე თავის ქვეყნიდამ გადასახლება. იპის თხოვნით ოსმალეთის მთავრობამ გაგზავნა მცირე აზიაში კომისარი — ალი-ბეი, რომელსაც მინდობილი აქვს დასჯა ყველა იმ ქურთებისა და მაჰმადიანებისა, რომელნიც აწუხებენ ქრისტიანებს, და აგრეთვე ხა-

ლხის ჩაგონება, რომ იმათი მდგომარეობა გაუმჯობესდება და ნურსად გადადიან.

„ამ ალი-ბეის მოსვლამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა არზრუმში: აქაურ გავლენიან სომხებმა ყველგან გაგზავნეს ახლა წიგნები და ურჩივენ სომხებს არ გადასახლდეთო. ამ გარემოების წყალობით, ამ უკანასკნელს დღეებში აქედამ თითქმის აღარაინ მიდის რუსეთში.“

— როგორც სტამბოლის გაზეთი „მაკიტ“ გვარწმუნებს, ოსმალეთის მთავრობა მეროპის უმთავრესს სახელმწიფოებს უგზავნის ნოტას, რომელშიაც გამოცხადებული იქნება თურმე საჩივარი პესტრიაზედ, რომ ბონისა და ჰერცოგოვინის დაჭერის დროს, იმათ ბევრი უმანკო სისხლი დაღვრა და ბარბაროსობა ჩაიდინათ.

— შრანცუზულს გაზეთს „შურნალ დე-დებაში“ დაბეჭდილია შემდეგი დებეშა, რომელიც ამ გაზეთისათვის მითხაღვამას გაუგზავნია ძანეიდამ:

„ზოგიერთს გაზეთებში იწერებინან, ვითომც მე წარმოამეთქვას ინგლისის მინისტრების წინ ის ჰაზრი, რომ ოსმალეთს შეუძლიან ძანდიის კუნძული დაუთმოს საბერძნეთსაო. შიორჩილესად გთხოვთ, გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში, რომ არასოდეს არაფერი ამ გვარი არ მითქვამს მე, და არც ვიტყუადი, რადგან ეს ეწინააღმდეგება ჩემს პრინციპებს.“ მიხაღვამა

## საბერძნეთი

გაზეთს „ათინის მოამბეში“ იწერებინან:

„ოსმალეთის სამხედრო ფლოტის უფროსი ბობარტ-ფაშა იყო ამ დღეებში საბერძნეთის კაროლთან ბიორგისთან და ელაპარაკა იმას ოსმალეთის და საბერძნეთის განხეთქილების შესახებ. ჩვენ ნამდვილად შევიტყუეთ, რომ ჩვენმა მეფემ შემდეგი სიტყვები უთხრა ბობარტ-ფაშას:

„საბერძნეთი თხოულობს ბერლინის ტრაქტატის შესრულებას. ღარწმუნებულნი იყავით, რომ თავის ნებით ჩვენ ერთს მტკაველსაც არ დაუთმობთ ოსმალეთს იმ მიწებიდამ, რომელიც მეროპის უმთავრეს სახელმწიფოების გარდაწყვეტილებამ გვარგუნა.“

## ავსტრია

პარიჟულ გაზეთს „ჟანსში“ დაბეჭდილია რომიდამ მიღებული დებეშა, რომელიც გეაცნობებს, აქ ხმა არის დეარდნილიო, რომ ახლანდელი იტალიის სამინისტრო უნდა გამოვიდეს სამსახურიდამაო და იმის ადგილს დაიჭერს ისეთი სამინისტრო, რომელიც პესტრის მტერი იქნებაო. ამავე გაზეთის სიტყვით, იტალია დაფარულად ემზადება პესტრისათან საომრად.

## ინგლისი

ომის მიზეზი და ინგლისის უკმაყო-

ფილება აგვანისტანის მინისტრის განცხადება შემდეგ: რამდენიმე სიტყვაში, რომელიც ინგლისის მინისტრს სტანლეს უთქვამს ერთს საზოგადო კრებაზედ:

„ინგლისის არც სხვა ქვეყნების დაპყრობა ჰსურს და არც ახალი მიწების შეძენა. ინგლისი, რასაკვირველია, არაფერს არ იტყვის იმის წინააღმდეგ, რომ იმის მეზობელს თვითონვე ეჭიროს ხელში თავის კარების გასაღები; მაგრამ, თუ ამ მეზობელმა განიზრახა, რომ სხვას გარდასცეს ეს თავის გასაღები, — მაშინ სულ სხვაა, მაშინ ინგლისმა უნდა იფიქროს, თუ როგორ მოიქცეს.“

## საზრანგეთი

ინგლისური გაზეთი „სტანდარი“ გვარწმუნებს, რომ საფრანგეთმა გაგზავნა ხმელთა-შუა ზღვაში სამხედრო ფლოტი, რომელიც 130 ხარბაზნისა და 6,000 კაცისაგან შესდგებაო.

მაგრამ ფრანკუზული ოფიციარული გაზეთები კი ამტკიცებენ, რომ ეს ამბავი ტყუილი არისო.

## გერმანია

ბერლინის გაზეთს „პოსტში“ იწერებინან, რომ გერმანიის იმპერატორს მილჰელმსა და მ. ბისმარკს ბაშუტინ შეეყოფნის დროს მოუვიდათ რამდენიმე ხელმოუწერელი წიგნი, რომელშიაც ვილაც უკნობი პირები სწერენ თურმე, რომ რამდენჯერმე გადურჩით თქვენ ჩვენს ტყვიას, მაგრამ ყოველთვის ვერ გადურჩებით, უეჭველად უნდა მოგკლათო და სხე

## საზრანგეთი

მოგესხენებათ, რომ ამ ღვინობისთვეში უნდა დაიხუროს პარიჟის მსოფლიო გამოფენა. მართს პარიჟულ გაზეთში იწერებინან, რომ ამ დღეებში იქ ყოფილი მინისტრების კრება, რომელზედაც გადაუწყვეტიათ, რომ ღვინობისთვის 21-ს დაურჩიგონ ჯილდოები იმ პირთ, რომელთაც შესანიშნავი რამე საგნები წარმოადგინეს პარიჟის გამოფენაზე; მეორე დღეს, 22-ს, მერალში იქნება დიდი დღესასწაული ზამოფენის გათავების გამო. იმ დღისათვის პარიჟში მივილიან მსაზნის კაროლს, ინგლისის ტანტის მემკვიდრეს (შელის პრინცს), იტალიის პოსტის გერცოგს, დანიის პრინცს და სხვა წარჩინებულ პირებსა.

## ინგლისი

ლონდონის გაზეთს „სტანდარში“ იწერებინან ძალკუტიდამ:

„აგვანისტანის მძირიდამ ინდოეთის ვიცე-კაროლს ლორდ ლიტტონს ჯერ არაერთარი პასუხი და ამბავი არა მოსვლია-რა. აპობდენ მხოლოდ, რომ მძირი დიდ-ძალ ჯარებს აგროვებს, ომისათვის ემზადება და ინდოეთის სამხედროზე აყენებსო.“

ბერმინგემის ლიბერალური ასოციაცია (ანხანაგობა, საზოგადოება) შეკრებილა ხენებულს ქალაქ მიენკენისთვის 20-ს და გარტაუწყვეტია მთავრობას წარუდგინონ თავის ჰაზრი და აგრეთვე



გაზეთებმაც გადაცხადონ, რომ საინგლისო ინდოეთის მთავრობა ძალიან ურიგოთ იქცევია და თუ ამის გამო ავგანისტანთან ომი დაიწყო, ჩვენგან თანაგრძნობას ნუ მოელოს, რადგან ეს ომი ინგლისის სრულიად არასი მესძენს, მხოლოდ უიმისოთაც ღარიბ ხალხს მომართული ხარჯი დაეყება.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**პარიში, 3 ოქტომბერს.** სტამბოლში მყოფ ლაზებმა რუსის ელჩს ლობანოვ-როსტოვსკის სთხოვეს, რომ მისცეს იმით პასპორტი ბათუმში დასაბრუნებლად.

**ვენა 3 ოქტომბერს.** ამბობენ, რომ მიწერილობა იმ არმიის დაშლა, რომელსაც უნდა დაეჭირა ბოსნია და ჰერცეგოვინა. მთხე დივიზიით და ერთ ბრიგადით უნდა დასტოვონ; წერილობით ამის თაობაზე ბრძანება მალე იქნება.

**ვენა, 2 ოქტომბერს.** სპოლიტიკურს ძორრესპონდენციაში იწერებიან: იმ კომისიის ყრილობაში, რომელიც შეეხება აღმოსავლეთი რუმალიის დაწყობილებას რუსის კამისარმა მოსთხოვა მსმალთა დანდობილ პარსს, რომ წარმოედგინა კამისიაში იმ პროექტის წესდებულება, თანხმად ბერლინის ტრაქტატისა, რომელიც უნდა მოქმედობდეს მერჯის მსმალთა პროვინციებში. მსმალეთის კომისარმა უარი უთხრა ამას.

როგორც ამბობენ, ჩერნოგორიის მთავარმა გამოაცხადა, რომ მ.მალთს ტყვეებს მაშინ განვათავსებ უფლებო, როცა მსმალეთი შეპარულებს ბერლინის ტრაქტატის მუხლებს ჩერნოგორიის შესახებ.

რუმანია ითხოვს ოსმალთს ტყვეების

ხარჯს ან ამის მაგიერათ მიდინის სამხედრო მასალების მოცემას.

**ლონდონი, 2 ოქტომბერს.** მსამალეთს მოუვიდა ამბავი, რომ რუსის ჯარებმა ისევ აღრიანოპოლისიკენ დაიწიეს.

**გელგრადი, 2 ოქტომბერს.** სერბიის მთავრობა მიიღო სტევიჩის სამინისტროსაგან შეტანილი თხოვნა თანამდებობილად განთავსებულების თაობაზედ. ახალ სამინისტროს შეადგენენ შემდეგი მინისტრები: ჩისტინ—სამინისტროს თავჯდომარე და უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრი, შატინ—ფუსტიციის მინისტრი, პლიმპინ—საზოგადო. მუშაობისა, მილიკოვიჩ—სამხედრო, იოანოვიჩი და ვასილევინი ისევ თავის ადგილზედ დარჩებიან.

**ლონდონი, 2 ოქტომბერს.** კეშვარში მოვიდა წიგნი ერთის იქაური კაციისა, რომელიც საინგლისო ინდოეთის ვიცე-კოროლმა ავგანისტანის შიბრთან გაგზანა.

## განცხადებანი

ლომტორი—აქუშორი

### ნ. დ. გავრონსკი

დაბრუნდა თფილისში და მიიღებს ავთომყოფებს ყოველ დღეს დილის 9 საათიდან 11 საათამდინ გარდა კვირადღისა.

სახლი მისი: ბანოვის ქუჩაზედ, № 7. ქამერჩესკის ბანკის გვერდით.

## „იგავ-არაკნი“

იქვე ისყიდება იმისივე

შამოკრებილინი საბა-სუოხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუილამ“ და გალექსილი თ. რაფ. პრისთისაგან.

შასნი ორი შაური.

**ქალაქის გამგეობისაგან**

**თფილისის ქალაქის გამგეობა**

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ წლის 18 დეკემბრისთვის (ოქტომბერს), იმის თანდაწრებით, დანიშნულია მხოლოდ ერთხელ ვაჭრობა (ტორგი) ნავთლულის ნავთის წყაროების იჯარით მიცემად.

სულ შეიდი წყაროა და ამასთან უდაბნო მიწაც.

(2—1)

**29 სექტემბერიდან დაიწყო ბორში აუტორით მომთავულის არტილერიის ცხენების გასაქიდა. გაისყიდება 1—2 და 4 არტილერიის ბრიგადის ცხენები.**

ამ ცხენების ყიდვის მსურველთ შუქლიანთ მიმართონ ბორში.

(3—1)

**თიანეთის უხელო თ. ნიკო ჭავჭავაძის მამულის გვერდით, ისყიდება მამული ლესიატინა,** რომელიც შეიცავს სახნავე-ნათეს ადგილს, ტყეს, საწისქვილეს ადგილს (იორხე).

შასისა და აგრეთვე უფრო დაწვრილებული გარემოების შეტყობა და მამულის პლანის ნახვა შეიძლება „დროების“ რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, სიხლს № 8.

(5—1)

**გიგოზ ჩარკვიანის წიგნის მაღაზრით ისყიდება:**

„ნი ნ ო“

მოთხრობა თავადი რაფიელ პრისთისაგან.

შასნი 15 კაპიტი.

რბ. შზა.	დღა.	ს. ღა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამაჰრნალო
თფილისი	9 21	5 18	8 13	8 13	მ. სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 29 სექტემბ.		მრეწ. ს. მედნაზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	6 8	3 8	მეთაას, შოთს . . . . .	1	შქვ. თფ. ბანჯინა, ფთ.	1 80	ავთომყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ბორჯომი	11 5	9 43	2 40	1 33	ბორს, დუშეთს, სიღნაღს . . . . .	50	შქვილი წითელი . . . . .	1 55	მ. რ შაბათს: მერმიშვი და ბა- რალევიჩი—შინაგ. ავთა, მთუჩ- რიანც—საჯარო ექიმი და საშეი- ლოს ოპერაციები.
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	მერი ფუთი . . . . .	1 40	სამ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. პ. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბაე- შვის, პეტროვი—თვალის.
სურამი	1 44	4 42	2 46		პეტერბურს, შარაგას . . . . .	2	ბაბა მრეწისა, ფუთი . . . . .	7 50	მ. თხ შაბათი: მერმიშვი ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბაე- შვის, პეტროვი—თვალის.
შვირთა	5 49	5 81	3 23		მსმალთში, შვეიც. რიში.	3	— პეტროვი, ფუთი . . . . .	8 50	ნაგანი.
რიონი	6 57	6 75	3 75		იტალიაში და სფრანგეთში . . . . .	3 50	ბავენტილი ბაბა ფუთი . . . . .	10	ხუთ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. მთუჩარიანცი—სიკლიტიკუ- რი და საზარდუ ორგანების.
სამტრედია	7 51	7 73	4 29		ინგლისში . . . . .	3 75	მატული თუშური ფუთი . . . . .	8 50	პარასკევს: მერმიშვი—შინაგ., პ. ბახუტოვი—საბეზო ქალია და ბაეშვიების.
ახალ-სენაკი	8 43	8 57	4 76		ზოგად		— მარაქამისა ფუთი . . . . .	4 50	შაბათს: მერმიშვი—შინაგ., და პეტროვი—თვალის.
ფოთი	9 50	9 75	5 42		ა) თფილისიდან: სამზღვარ გა- რეთ, მთუჩის, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მსურ. — პარასკ. და ორშ. შა- ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) მეთაი- სიდან: თფილისისა და შოთისკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურ- გეთს—ორშ. და პარასკ.		— აბრეშუმი ნუხური სტ. მონე, ფუთი . . . . .	2	მ. თხ შაბათი: მერმიშვი ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბაე- შვის, პეტროვი—თვალის.
ფოთი	9 3				წიგნის გაგზანა რუსეთში კაპ და სამზღვარ გარეთ:		— მონის სანთელი ფუთი . . . . .	6 20	ნაგანი.
ახალ-სენაკი	10 14	1 18	6 6	1 14	ლია წიგნია . . . . .	4	სტეფარინის სანთელი ფუთი . . . . .	8	ხუთ შაბათს: მერმიშვი—ში- ნაგ. მთუჩარიანცი—სიკლიტიკუ- რი და საზარდუ ორგანების.
სამტრედია	11 5	2 6	1 14		დ. ბ. კლიდის (ხამი მიხნაღი) . . . . .	8	ხორცი ძროხისა, ლიტ. — ცხერისა, ლიტრა . . . . .	81	პარასკევს: მერმიშვი—შინაგ., პ. ბახუტოვი—საბეზო ქალია და ბაეშვიების.
რიონი	12 13	3 4	1 69				შაქარი, ბროც. ფუთი . . . . .	7 40	შაბათს: მერმიშვი—შინაგ., და პეტროვი—თვალის.
შვირთა	1 18	3 98	2 21				— ფენილი ფუთი . . . . .	6	პეტროვი—თვალის.
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96			ქავა გრგვალი, გირვ . . . . .	70	
ხაშური	5 39	1 37	5 84	2 24			ხეთი ქუჩუთისა ფუთი . . . . .	14	
ბორჯომი	7 5	4 8	7 36	4 9			მაშაქო, საშულო ფთ. . . . .	6 15	
მცხეთა	8 50	6 59	9 8	5 4					
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42					